ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №118

ქ. ქუთაისი 26 აგვისტო 2019 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის დავით წიტაიშვილის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 0231 25-37-00) და მეორეს მხრივ მიკრო მეწარმე „ვარლამი უფლისაშვილი" ს/ნ 60001002500 (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" #5ფილიალის და #16 ფილიალის ხორცსაკეპი მანქანის შეკეთების მომსახურების შესყიდვა. (CPV 50530000 (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 140(ასორმოცი) ლარი.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან ძოწენიძე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ქუთაისი მესხიშვილის მე4 შეს.#21

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, წუნდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის გამოცვლის ან/და შეკეთების გზით.

გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“	მიკრო მეწარმე ვარლამი უფლისაშვილი
მის.: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ.#3	მის: ქ. ქუთაისი მესხიშვილის მე4 შეს.#21
საიდენტიფიკაციო კოდი 412675396	საიდენტიფიკაციო კოდი 60001002500
ხაზინის ერთიანი ანგარიში	პროკრედიტ ბანკი
	ა/ა GE74PC0213600100013909
---	---
დირექტორი	მ/მ
დავით წიტაიშვილი	ვარლამ უფლისაშვილი

NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries
Digitally signed by NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries
Date: 2019.08.26 13:34:46 +04'00'

Varlam Uplisashvili
Digitally signed by Varlam Uplisashvili
Date: 2019.08.26 13:34:04 +04'00'